



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

26/04/2017

N 69/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის (2017-2020
წწ.) და სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ

„ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის №539 დადგენილებით დამტკიცებული ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №594 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის №539 დადგენილებით დამტკიცებული ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების (ვალდებულება 11: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება) გათვალისწინებით, დამტკიცდეს:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2017-2020 წწ.) თანდართული რედაქციით (დანართი 1);

ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული რედაქციით (დანართი 2).

2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისთვის და სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

3. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველს, ეკა სეფაშვილს ამ ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

კახაბერ გულედანი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი